

1 მკც სიხშირული რესურსის პოტენციური საბაზრო ღირებულებების ანალიზი დიაპაზონში:
700 მკც, 800 მკც, 2100 მკც, 2600 მკც, 3400-3800 მკც
2024 წლის 5 აგვისტო



პოტენციური საბაზრო ღირებულებების ანალიზი 1 მკც-სთვის
შემდეგ სიხშირულ რესურსებზე:

700 მკც, 800 მკც, 2100 მკც, 2600 მკც, 3400-3800 მკც

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სარჩევი

1. წინასიტყვაობა.....	3
2. რეზიუმე.....	4
3. მეთოდოლოგიის აღწერა, შერჩევის კრიტერიუმები და აუცილებელი კორექტირება.....	5
3.1 საბაზრო მიდგომა.....	5
3.2 შერჩევის კრიტერიუმების აღწერა.....	5
3.3 საჭირო კორექტირება.....	6
4. შედეგების შეჯამება ანალიზის თითოეული ნაწილისთვის.....	7
4.1 700 მპკ სიხშირე.....	7
4.2 800 მპკ სიხშირე.....	8
4.3 2100 მპკ სიხშირე.....	9
4.4 2600 მპკ სიხშირე.....	10
4.5 3400-3600 მპკ სიხშირე.....	11
5. დანართები.....	13
5.1 შემზღვეველი პირობები.....	13
5.2 ინფორმაციის წყაროები.....	15
5.3 აბრევიატურები.....	15

1. წინასიტყვაობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

5 აგვისტო, 2024

2024 წლის 22 ივლისს შპს EY-მ („ჩვენ“ ან „EY“) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან („COMCOM“, „კლიენტი“ ან „კომპანია“) გაფორმებული №2207/01-24 შეთანხმების შესაბამისად ჩაატარა ფასების ანალიზი 1 მკვ სიხშირის ლიცენზიების პოტენციური საბაზრო ღირებულებების დასადგენად 15 წლიანი სალიცენზიო ვადით. ეს ანალიზი ეფუძნება საბაზრო მიდგომას 1 მკვ სიხშირეებისთვის 700 მკვ, 800 მკვ, 2100 მკვ, 2600 მკვ და 3400-3800 მკვ დიაპაზონში („ანალიზის საგანი“). ანალიზის ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 30 ივნისი.

ჩვენი ფასების ანალიზი შესრულდა ხელშეკრულებაში მითითებული სამუშაოს ფარგლების შესაბამისად. ხელშეკრულებაში განსაზღვრული სამუშაოს აღწერის შესაბამისად, ჩვენი ფასების ანალიზი ხორციელდება საბაზრო მიდგომის მიხედვით (შედარებადი ტრანზაქციების მეთოდი) სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული შედარებადი სიხშირის სალიცენზიო აუქციონების შედეგების გათვალისწინებით.

ჩვენი მუშაობის შედეგები შეჯამებულია ამ წერილთან ერთად წარმოდგენილ ანგარიშში („ანგარიში“). ანგარიში მომზადდა დამკვეთის ექსკლუზიური გამოყენებისთვის. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაციის, შეხედულებების, ანალიზისა და მეთოდოლოგიის შეჯამება, რომლებიც გამოყენებული იქნა ფასების ანალიზის დროს.

ჩვენ ვაფასებთ შესაძლებლობას მოგაწოდოთ პროფესიონალური მომსახურება. თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ +995 32 215 88 11.

პატივისცემით

შპს „იუაი“

2. რეზიუმე

შეთანხმებული სამუშაო ჩარჩოს მიხედვით, ჩვენ ჩავატარეთ 1 მკ სიხშირის პოტენციური საბაზრო ღირებულებების ფასების ანალიზი 700 მკ, 800 მკ, 2100 მკ, 2600 მკ და 3400-3800 მკ დიაპაზონში.

ანალიზის დროს ჩვენ განვიხილეთ აუქციონები შედარებადი სიხშირეებისთვის და შემდგომ გავითვალისწინეთ განსხვავებები:

- ლიცენზიის ხანგრძლივობა
- ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა
- ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე

აუქციონის ფასები ძველი პერიოდებისთვის დაკორექტირდა შესაბამისი ქვეყნის CPI ინფლაციის მიხედვით. საბოლოო მნიშვნელობების მისაღებად ჩვენ შევარჩიეთ ყველაზე შესაბამისი ქვეყნები და აუქციონები, გამოვრიცხეთ ამოვარდნილი მონაცემები და გამოვთვალეთ კოეფიციენტები ყველა საჭირო კორექტირების გამოყენების შემდეგ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს პოტენციურ საბაზრო ღირებულებების შედეგებს 1 მკ-ისთვის:

ცხრილი 1: 1 მკ სიხშირეების საბაზრო ღირებულება 700 მკ, 800 მკ, 2100 მკ, 2600 მკ და 3400-3800 მკ დიაპაზონში				
სიხშირე	რესურსის მოცულობა	ლიცენზიის ხანგრძლივობა	პოტენციური საბაზრო ფასი	ვალუტა
700 მკ	1 მკ	15 წელი	2,062,560	ლარი
800 მკ	1 მკ	15 წელი	2,373,585	ლარი
2100 მკ	1 მკ	15 წელი	1,420,673	ლარი
2600 მკ	1 მკ	15 წელი	183,429	ლარი
3400-3800 მკ	1 მკ	15 წელი	278,133	ლარი

წყარო: EY-ს ანალიზი

გამოყენებული მეთოდოლოგიის, შედარებადი აუქციონების შერჩევის კრიტერიუმების, შერჩეული აუქციონების შეჯამებისა და მიღებული კოეფიციენტების შესახებ დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ანგარიშის შემდეგი ნაწილები.

3. მეთოდოლოგიის აღწერა, შერჩევის კრიტერიუმები და აუცილებელი კორექტირება

3.1 საბაზრო მიდგომა

საბაზრო მიდგომა

საბაზრო მიდგომა (საერთაშორისო შეფასების სტანდარტები (IVS) 105 შეფასების მიდგომები და მეთოდები): საბაზრო მიდგომა აფასებს ღირებულებას შესაფასებელი აქტივის სხვა იდენტურ ან დაახლოებულ (ანუ მსგავს) აქტივებთან შედარების გზით, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ფასების შესახებ. საბაზრო მიდგომის ძირითადი მეთოდებია:

- შესადარებელი ტრანზაქციის მეთოდი: შეფასება ეფუძნება ფაქტობრივ ტრანზაქციებში გადახდილ ფასებს, რომლებიც მოიცავს იდენტურ ან მსგავს აქტივებს.
- Publicly Traded Company მეთოდი: შეფასება ეფუძნება საჯარო კომპანიების სავაჭრო ღირებულებებს, რომლებიც მსგავსია განსახილველ აქტივთან.

ჩვენს ანალიზში ყურადღება გავამახვილეთ შედარებადი ტრანზაქციების მეთოდის გამოყენებაზე ევროპულ ბაზრებზე ჩატარებული სიხშირული რესურსის აუქციონების ბენჩმარკინგით 700, 800, 2100, 2600 და 3400-3800 მპვ დიაპაზონში.

IVS ხაზს უსვამს ბაზრის მონაცემების შესაბამისობისა და შედარების გათვალისწინების მნიშვნელობას, ბაზრის აქტივობის დონეს და შესაბამისი კორექტირების აუცილებლობის იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესადარებელი მონაცემები მართლაც მსგავსია ანალიზის საგანთან.

ჩვენი ანალიზის დროს გავითვალისწინეთ ყველა შესამჩნევი და შესაბამისი კორექტირება შერჩეულ სიაში შეტანილი შედარებადი აუქციონის ქვეყნების საქართველოსთან შედარების გზით. ანალიზის დროს განხორციელებული ყველა შესაბამისი კორექტირება შემდგომშია აღწერილი.

3.2 შერჩევის კრიტერიუმების აღწერა

შერჩევის კრიტერიუმების აღწერა

შესაბამისი სიხშირული აუქციონების ასარჩევად გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- **ევროპული ბაზარი:** მთავარი აქცენტი ევროპული ბაზრები იყო.
- **მარეგულირებელი ჩარჩო:** შერჩეული ქვეყნების უმეტესობა მიჰყვება იმავე რადიოსიხშირულ რეგულაციას (ანუ ITU-ს რეგიონი 1-ის წევრები, CEPT-ის წევრები და ევროკავშირის წევრი ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო დირექტივების ფარგლებში), რაც უფრო მეტად ეხება საქართველოს.
- **ლიცენზიის ხანგრძლივობა:** ჩვენ ფოკუსირებული ვიყავით ლიცენზიის აუქციონებზე, რომელთა ხანგრძლივობაა 10-დან 40 წლამდე, თუმცა მოგვიანებით მოხდა მათი

დაკორექტირება (15 წელი განიხილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ).

3.3 საჭირო კორექტირება

საჭირო კორექტირება

მას შემდეგ, რაც შედარებადი აუქციონები იქნა შერჩეული, შემდეგი ნაბიჯი იყო დაკორექტირება შერჩეულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით. ჩვენი ანალიზის განმავლობაში, გავითვალისწინეთ შემდეგი კორექტირებები:

- **ლიცენზიის ხანგრძლივობა:** ჩვენ გამოვავლინეთ აუქციონები სხვადასხვა ლიცენზიის ხანგრძლივობით. დავაკორექტირეთ ხანგრძლივობა სიხშირული რესურსის ლიცენზიის ხანგრძლივობის 15 წლიანი ვადის გათვალისწინებით.
- **CPI ინფლაცია:** წინა აუქციონებზე ფასები ინდექსირებული იყო CPI ინფლაციაზე.
- **მოსახლეობის დაფარვა:** გათვალისწინებული იყო მოსახლეობის დაფარვის სხვაობის კორექტირება. საქართველოს მოსახლეობასა და სხვა შერჩეული ქვეყნების მოსახლეობას შორის დიდი განსხვავების გათვალისწინებით, ჩვენ გავანალიზეთ ზღვარი მოსახლეობის რაოდენობის მედიანის მიხედვით (ზღვრად 10.5 მილიონი მედიანა იყო გამოყენებული) და გამოვრიცხეთ ქვეყნები, რომლებმაც გადააჭარბეს შესაბამის ზღვარს.
- **ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე:** განვიხილეთ განსხვავებები მშპ-ში ერთ სულ მოსახლეზე საქართველოსა და შესაბამის ქვეყნებს შორის.

4. შედეგების შეჯამება ანალიზის თითოეული ნაწილისთვის

4.1 700 მპკ სიხშირე

700 მპკ დიაპაზონის აუქციონების ანალიზის დროს, ჩვენ შევარჩიეთ 80 აუქციონი ევროპის 20 ქვეყანაში, რომელიც ეხებოდა FDD ტიპის 700 მპკ დიაპაზონს (SDL აუქციონები არ არის გათვალისწინებული).

- სიხშირული რესურსის აუქციონების შედეგები ცალკე იქნა გამოკვლეული თითოეული შედარებადი აუქციონისთვის და ამოვარდნილი მონაცემები გამოირიცხა საბოლოო სიიდან მონაცემების გაანგარიშებისთვის.
- შეგროვებულ მონაცემებში გამოვლინდა მაღალი გადახრა საშუალოდან, რამაც განაპირობა შერჩევიდან 10.5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყნების გამორიცხვა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს გამოყვანილ საშუალო მონაცემებს თითოეული არჩეული ქვეყნისთვის, შესაბამისი აუქციონის თარიღისა და დაკორექტირებული მონაცემების მითითებით.

ცხრილი 2: შერჩეული ქვეყნების სია და მიღებული მონაცემები

ქვეყანა	ტრანზაქციის თარიღი	სიხშირის კატეგორია	ტიპი	დოლარი/მპკ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობისთვის
ლიეტუა	აგვ-2022	700 მპკ FDD	FDD	27.522
ლატვია	დეკ-2021	700 მპკ FDD	FDD	6.748
ხორვატია	დეკ-2021	700 მპკ FDD	FDD	143.731
პორტუგალია	ოქტ-2021	700 მპკ FDD	FDD	66.035
სლოვენია	აპრ-2021	700 მპკ FDD	FDD	21.049
საბერძნეთი	დეკ-2020	700 მპკ FDD	FDD	281.525
სლოვაკეთი	ნოე-2020	700 მპკ FDD	FDD	71.355
უნგრეთი	მარ-2020	700 მპკ FDD	FDD	236.603
ნორვეგია	ივნ-2019	700 მპკ FDD	FDD	10.802
ფინეთი	ნოე-2016	700 მპკ FDD	FDD	27.681
საშუალო				89.305

წყარო: EY-ს ანალიზი, Mason Analytics

მიღებული საშუალო მონაცემები გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი სიხშირის 1 მპკ სიხშირული რესურსის სავარაუდო ფასის გამოსათვლელად. ამ გამოთვლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2023 წლის მდგომარეობით და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს მიღებული მონაცემების გამოყენების მეთოდს და საქართველოსთვის 1 მპკ სიხშირული რესურსის საფასურის გამოთვლის ეტაპებს.

ცხრილი 2.1: ანალიზის შეჯამება 700 მპკ დიაპაზონისთვის

ლარი	მპკ-ს ღირებულება
დოლარი/მპკ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით [1]	89.305
<i>მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) [2]</i>	<i>8.219</i>
<i>მთლიანი მპკ [3]</i>	<i>1</i>
<i>გაცვლითი კურსი (მიმდინარე) [4]</i>	<i>2.81</i>
შეფასებული ღირებულება. ლარი [5]=[1]*[2]*[3]*[4]	2.062.560
შეფასებული ღირებულება მპკ-სთვის	2.062.560

წყარო: EY-ს ანალიზი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი

4.2 800 მპკ სიხშირე

800 მპკ დიაპაზონის აუქციონების ანალიზის დროს, ჩვენ შევარჩიეთ 63 აუქციონი ევროპის 16 ქვეყანაში, რომელიც ეხებოდა FDD ტიპის 800 მპკ დიაპაზონს.

- სიხშირული რესურსის აუქციონების შედეგები ცალკე იქნა გამოკვლეული თითოეული შედარებადი აუქციონისთვის და ამოვარდნილი მონაცემები გამოირიცხა საბოლოო სიიდან მონაცემების გაანგარიშებისთვის.
- შეგროვებულ მონაცემებში გამოვლინდა მაღალი გადახრა საშუალოდან, რამაც განაპირობა შერჩევიდან 10.5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მეორე ქვეყნების გამორიცხვა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს გამოყვანილ საშუალო მონაცემებს თითოეული არჩეული ქვეყნისთვის, შესაბამისი აუქციონის თარიღისა და დაკორექტირებული მონაცემების მითითებით.

ცხრილი 3: შერჩეული ქვეყნების სია და მიღებული მონაცემები

ქვეყანა	ტრანზაქციის თარიღი	სიხშირის კატეგორია	ტიპი	დოლარი/მპკ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობისთვის
<i>ხორვატია</i>	<i>მარ-2023</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>50.83</i>
<i>საბერძნეთი</i>	<i>ოქტ-2014</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>281.40</i>
<i>ფინეთი</i>	<i>ოქტ-2013</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>34.22</i>
<i>ლიეტუა</i>	<i>ოქტ-2013</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>8.39</i>
<i>დანია</i>	<i>ივნ-2012</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>18.77</i>
<i>პორტუგალია</i>	<i>ნოე-2011</i>	<i>800 მპკ FDD</i>	<i>FDD</i>	<i>223.02</i>
საშუალო				102.772

წყარო: EY-ს ანალიზი, Mason Analytics

მიღებული საშუალო მონაცემები გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი სიხშირის 1 მპკ სიხშირული რესურსის სავარაუდო ფასის გამოსათვლელად. ამ გამოთვლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე

2023 წლის მდგომარეობით და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს მიღებული მონაცემების გამოყენების მეთოდს და საქართველოსთვის 1 მპკ სიხშირული რესურსის საფასურის გამოთვლის ეტაპებს.

ცხრილი 3.1: ანალიზის შეჯამება 800 მპკ დიაპაზონისთვის

ლარი	მპკ-ს ღირებულება
დოლარი/მპკ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით [1]	102.772
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) [2]	8.219
მთლიანი მპკ [3]	1
გაცვლითი კურსი (მიმდინარე) [4]	2.81
შეფასებული ღირებულება. ლარი [5]=[1]*[2]*[3]*[4]	2.373.585
შეფასებული ღირებულება მპკ-სთვის	2.373.585

წყარო: EY-ს ანალიზი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი

4.3 2100 მპკ სიხშირე

2100 მპკ დიაპაზონის აუქციონების ანალიზის დროს, ჩვენ შევარჩიეთ 58 აუქციონი ევროპის 17 ქვეყანაში.

- სიხშირული რესურსის აუქციონების შედეგები ცალკე იქნა გამოკვლეული თითოეული შედარებადი აუქციონისთვის და ამოვარდნილი მონაცემები გამოირიცხა საბოლოო სიიდან მონაცემების გაანგარიშებისთვის.
- შეგროვებულ მონაცემებში გამოვლინდა მაღალი გადახრა საშუალოდან, რამაც განაპირობა შერჩევიდან 10.5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყნების გამორიცხვა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს გამოყვანილ საშუალო მონაცემებს თითოეული არჩეული ქვეყნისთვის, შესაბამისი აუქციონის თარიღისა და დაკორექტირებული მონაცემების მითითებით.

ცხრილი 4: შერჩეული ქვეყნების სია და მიღებული მონაცემები

ქვეყანა	ტრანზაქციის თარიღი	სიხშირის კატეგორია	ტიპი	დოლარი/მპკ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობისთვის
მოლდოვა	დეკ-2023	2100 მპკ FDD	FDD	94.65
ხორვატია	მარ-2023	2100 მპკ FDD	FDD	36.38
პორტუგალია	ოქტ-2021	2100 მპკ FDD	FDD	36.51
სლოვენია	აპრ-2021	2100 მპკ FDD	FDD	23.96
საბერძნეთი	დეკ-2020	2100 მპკ FDD	FDD	98.12
უნგრეთი	მარ-2020	2100 მპკ FDD	FDD	79.46
საშუალო				61.513

წყარო: EY-ს ანალიზი, Mason Analytics

მიღებული საშუალო მონაცემები გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი სიხშირის 1 მძვ სიხშირული რესურსის სავარაუდო ფასის გამოსათვლელად. ამ გამოთვლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2023 წლის მდგომარეობით და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს მიღებული მონაცემების გამოყენების მეთოდს და საქართველოსთვის 1 მძვ სიხშირული რესურსის საფასურის გამოთვლის ეტაპებს.

ცხრილი 4.1: ანალიზის შეჯამება 2100 მძვ დიაპაზონისთვის

ლარი	მძვ-ს ღირებულება
<i>დოლარი/მძვ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით [1]</i>	61.513
<i>მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) [2]</i>	8.219
<i>მთლიანი მძვ [3]</i>	1
<i>გაცვლითი კურსი (მიმდინარე) [4]</i>	2.81
შეფასებული ღირებულება. ლარი [5]=[1]*[2]*[3]*[4]	1.420.673
შეფასებული ღირებულება მძვ-სთვის	1.420.673

წყარო: EY-ს ანალიზი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი

4.4 2600 მძვ სიხშირე

2600 მძვ დიაპაზონის აუქციონების ანალიზის დროს, ჩვენ შევარჩიეთ 142 აუქციონი ევროპის 17 ქვეყანაში.

- სიხშირული რესურსის აუქციონების შედეგები ცალკე იქნა გამოკვლეული თითოეული შედარებადი აუქციონისთვის და ამოვარდნილი მონაცემები გამოირიცხა საბოლოო სიიდან მონაცემების გაანგარიშებისთვის.
- შეგროვებულ მონაცემებში გამოვლინდა მაღალი გადახრა საშუალოდან, რამაც განაპირობა შერჩევიდან 10.5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყნების გამორიცხვა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს გამოყვანილ საშუალო მონაცემებს თითოეული არჩეული ქვეყნისთვის, შესაბამისი აუქციონის თარიღისა და დაკორექტირებული მონაცემების მითითებით.

ცხრილი 5: შერჩეული ქვეყნების სია და მიღებული მონაცემები

ქვეყანა	ტრანზაქციის თარიღი	სიხშირის კატეგორია	ტიპი	დოლარი/მპც/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობისთვის
ხორვატია	მარ-2023	2600 მპც FDD	FDD	3.64
ნორვეგია	სექ-2021	2600 მპც FDD	FDD	4.01
საბერძნეთი	ოქტ-2014	2600 მპც FDD	FDD	25.68
საბერძნეთი	ოქტ-2014	2600 მპც FDD	FDD	8.43
პორტუგალია	ნოე-2011	2600 მპც FDD	FDD	14.87
პორტუგალია	ნოე-2011	2600 მპც FDD	FDD	5.95
ფინეთი	ნოე-2009	2600 მპც FDD	FDD	0.61
ფინეთი	ნოე-2009	2600 მპც FDD	FDD	0.35
საშუალო				7.942

წყარო: EY-ს ანალიზი, Mason Analytics

მიღებული საშუალო მონაცემები გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი სიხშირის 1 მპც სიხშირული რესურსის სავარაუდო ფასის გამოსათვლელად. ამ გამოთვლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2023 წლის მდგომარეობით და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს მიღებული მონაცემების გამოყენების მეთოდს და საქართველოსთვის 1 მპც სიხშირული რესურსის საფასურის გამოთვლის ეტაპებს.

ცხრილი 5.1: ანალიზის შეჯამება 2600 მპც დიაპაზონისთვის

ლარი	მპც-ს ღირებულება
დოლარი/მპც/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით [1]	7.942
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) [2]	8.219
მთლიანი მპც [3]	1
გაცვლითი კურსი (მიმდინარე) [4]	2.81
შეფასებული ღირებულება. ლარი [5]=[1]*[2]*[3]*[4]	183.429
შეფასებული ღირებულება მპც-სთვის	183.429

წყარო: EY-ს ანალიზი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი

4.5 3400-3600 მპც სიხშირე

3400-3600 მპც დიაპაზონის აუქციონების ანალიზის დროს, ჩვენ შევარჩიეთ 149 აუქციონი ევროპის 21 ქვეყანაში, კონკრეტულად 3400-3800 მპც დიაპაზონისა და TDD ტიპისთვის.

- სიხშირული რესურსის აუქციონების შედეგები ცალკე იქნა გამოკვლეული თითოეული შედარებადი აუქციონისთვის და ამოვარდნილი მონაცემები გამოირიცხა საბოლოო სიიდან მონაცემების გაანგარიშებისთვის.

- შეგროვებულ მონაცემებში გამოვლინდა მაღალი გადახრა საშუალოდან, რამაც განაპირობა შერჩევიდან 10.5 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყნების გამორიცხვა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს გამოყვანილ საშუალო მონაცემებს თითოეული არჩეული ქვეყნისთვის, შესაბამისი აუქციონის თარიღისა და დაკორექტირებული მონაცემების მითითებით.

ცხრილი 6: შერჩეული ქვეყნების სია და მიღებული მონაცემები

ქვეყანა	ტრანზაქციის თარიღი	სიხშირის კატეგორია	ტიპი	დოლარი/მძვ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობისთვის
ლატვია	ნოე-2023	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	0.39
ლიეტუა	აგვ-2022	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	1.46
სლოვაკეთი	მაი-2022	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	6.14
ხორვატია	დეკ-2021	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	33.47
პორტუგალია	ოქტ-2021	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	28.19
ნორვეგია	სექ-2021	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	6.23
სლოვენია	აპრ-2021	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	4.92
საბერძნეთი	დეკ-2020	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	14.38
უნგრეთი	მარ-2020	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	30.42
ფინეთი	ოქტ-2018	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	4.89
ირლანდია	მაი-2017	3.4-3.6 გპვ FDD	FDD	1.97
საშუალო				12.043

წყარო: EY-ს ანალიზი, Mason Analytics

მიღებული საშუალო მონაცემები გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი სიხშირის 1 მძვ სიხშირული რესურსის სავარაუდო ფასის გამოსათვლელად. ამ გამოთვლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2023 წლის მდგომარეობით და აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს მიღებული მონაცემების გამოყენების მეთოდს და საქართველოსთვის 1 მძვ სიხშირული რესურსის საფასურის გამოთვლის ეტაპებს.

ცხრილი 6.1: ანალიზის შეჯამება 3,400-3,800 მძვ დიაპაზონისთვის:

ლარი	მძვ-ს ღირებულება
დოლარი/მძვ/მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაკორექტირებული ლიცენზიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით [1]	12.043
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი) [2]	8.219
მთლიანი მძვ [3]	1
გაცვლითი კურსი (მიმდინარე) [4]	2.81
შეფასებული ღირებულება. ლარი [5]=[1]*[2]*[3]*[4]	278.133
შეფასებული ღირებულება მძვ-სთვის	278.133

წყარო: EY-ს ანალიზი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი

5. დანართები

5.1 შემზღვევლი პირობები

- ეს ანგარიში მომზადებულია მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებული მიზნებისთვის და არ შეიძლება იყოს გამოყენებული დამკვეთის ან სხვა პირის მიერ სხვა მიზნებისთვის ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე. არც ეს ანგარიში და არც მისი რომელიმე ნაწილი (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე: ანგარიშში მოცემული ნებისმიერი დასკვნა, ან მითითებები EY-ზე, ან ამ მოხსენების ხელმოწერ პირებზე, ან მის მომზადებასთან დაკავშირებულ პირებზე) არ ექვემდებარება ასლის გადაღებას ან გავრცელებას რეკლამირების, საზოგადოებრივი მედია საშუალებების, ახალი ამბების, კომერციული მასალების, Securities და Exchange Commission-ის ან სხვა საჯარო მედიის საშუალებით EY-ის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- შეფასების რეკომენდაციების მიწოდება და აქ აღწერილი საკითხების გათვალისწინება წარმოადგენს რეგულარული შეფასების პრაქტიკის სფეროებს, რატომაც ჩვენ გვჯერა, რომ გვაქვს და საზოგადოების წინაშე ვაღიარებთ, რომ გვაქვს არსებითი ცოდნა და გამოცდილება. მოწოდებული სერვისები შემოიფარგლება ასეთი ცოდნითა და გამოცდილებით და არ წარმოადგენს აუდიტორულ, საკონსულტაციო ან საგადასახადო მომსახურებას, რომელიც შეიძლება სხვაგვარად იყოს მიწოდებული EY-ის მიერ. მიუხედავად ამ შეზღუდვისა, აქ მოცემული რჩევა არ იყო მიმართული EY-ისთვის გამოსაყენებლად და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმღების ან სხვა გადასახადის გადამხდელის მიერ იმ სახდელების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც შეიძლება დაწესდეს შიდა შემოსავლების კოდექსის ან მოქმედი სახელმწიფო ან ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.
- არაფერი გვაფიქრებინებს, რომ ამ მოხსენებაში მოცემული ფაქტები და მონაცემები არ არის სწორი.
- არც EY-ს და არც მის რომელიმე თანამშრომელს არ აქვს ფინანსური ინტერესი შეფასებული აქტივების მიმართ.
- ანგარიშის მომზადებისას განხილულ იქნა რაიმე ფარული ფაქტორების არარსებობა, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა შეფასებული აქტივების ფასების ანალიზის შედეგებზე. EY არ არის პასუხისმგებელი არც ასეთი ფაქტორების გამოვლენაზე და არც მათი აღმოჩენის შემთხვევაში.
- EY არ იღებს პასუხისმგებლობას შეფასების პროცესში გამოყენებულ შემდეგ ინფორმაციაზე და მონაცემებზე: ა) უშუალოდ კლიენტისგან მიღებულ ინფორმაციაზე; ბ) ინფორმაციაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ნებისმიერ მასმედიაში, მათ შორის ინტერნეტში, სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებზე და პროფესიულ პუბლიკაციებში, რომლებიც დაკავშირებულია შეფასების საქმიანობასთან; გ) ექსპერტთა მოსაზრებებზე. EY ირჩევს ექსპერტთა მოსაზრებებს EY-ის შიდა პოლიტიკის შესაბამისად. ასეთი ინფორმაცია და მონაცემები ნაგულისხმევია, რომ არის სანდო.
- არც EY-ს და არც რომელიმე პირს, რომელიც მონაწილეობდა მოხსენების მომზადებაში, არ მოეთხოვებათ ჩვენების მიცემა, ან მონაწილეობის მიღება სასამართლო პროცესებში ამ

- მოხსენებასთან დაკავშირებით, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული კონკრეტულ წინასწარ შეთანხმებებში ან სასამართლოს წერილობით მითითებაში.
- ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კლიენტს ესმის, რომ არასრული ან არასწორი მონაცემების მიწოდებამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ანალიზის შედეგებზე.
 - EY-ის მაქსიმალური ფინანსური პასუხისმგებლობა წინამდებარე ანგარიშში გაჩეული მომსახურებისთვის (მიუხედავად მისი ბუნებისა: იქნება ეს ხელშეკრულების შესაბამისად, ან უნებლიეთ ან სხვა შემთხვევაში), შემოიფარგლება EY-სთვის გადასახდელი თანხით შესრულებული მომსახურების იმ ნაწილისთვის, რომელმაც ეს პასუხისმგებლობა წარმოშვა. EY-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე რეგულარული ან უჩვეულო, შემთხვევით ან (Penal) ზარალზე, დანაკარგებზე ან ხარჯებზე (მათ შორის დაკარგულ შესაძლებლობებზე შეზღუდვების გარეშე და ა.შ.), მაშინაც კი, თუ არსებობს მათი წარმოშობის შესაძლებლობა.
 - ეს ანგარიში განკუთვნილია წასაკითხად და გამოსაყენებლად მთლიანობაში და არა ნაწილ-ნაწილ. ნებისმიერი განყოფილების ან გვერდის გამოყოფა ან შეცვლა ანგარიშის ძირითადი ნაწილიდან პირდაპირ აკრძალულია და გამოუსადეგარს ხდის ანგარიშს.
 - ყველა გაანგარიშება განხორციელდა Microsoft Excel-ში. რიცხვები არ დამრგვალებულა, გარდა იმ შემთხვევებისა, რაზეც კონკრეტულად არის მითითებული ანგარიშში.
 - ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საბაზრო მიდგომის მიხედვით განხორციელდა 1მმც პოტენციური საბაზრო ღირებულებების ფასების ანალიზი თითოეული მითითებული სიხშირის დიაპაზონში. ჩვენ არ გამოვიყენეთ დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდი შემოსავლის მიდგომის მიხედვით, რადგან ეს მეთოდი გამოირიცხა ხელშეკრულების მოქმედების საგნიდან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბაზრო მიდგომის მიხედვით მიღებული ჩვენი ანალიზის შედეგები შეიძლება პოტენციურად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც იქნებოდა მიღებული, თუ გამოყენებული იქნებოდა როგორც საბაზრო მიდგომა, ასევე შემოსავლის მიდგომა.
 - EY-ს არ მოეთხოვება დამატებითი სამუშაოს ან მომსახურების მიწოდება, ჩვენების მიცემა, ან სასამართლოში დასწრება განსახილველ აქტივებთან, ქონებასთან ან ბიზნეს ინტერესებთან დაკავშირებით, ან ნებისმიერი ანგარიშის, რეკომენდაციის, ანალიზის, დასკვნის ან სხვა დოკუმენტის განახლება, რომელიც ეხება მის მომსახურებას ნებისმიერი მოვლენისთვის ან გარემოებებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც EY-ისთვის მისაღები შეთანხმებები ცალკე გაფორმდა დამკვეთთან.

5.2 ინფორმაციის წყაროები

ჩვენი ანალიზის დროს გამოყენებული იქნა ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

წყარო	ინფორმაცია
Mason Analytics	აუქციონების ისტორიული მონაცემები შესადარებელი სიხშირის დიაპაზონებისთვის
სატელეკომუნიკაციო მარეგულირებლების ვებგვერდები და ოფიციალური ინფორმაცია	აუქციონების ისტორიული მონაცემები შესადარებელი სიხშირის დიაპაზონებისთვის
Oxford economics	სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე
მსოფლიო ბანკი	სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე
საქართველოს ეროვნული ბანკი	გაცვლითი კურსი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	გაცვლითი კურსი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე

5.3 აბრევიატურები

აბრევიატურები	განმარტება
CPI	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
EY	ერნსტ & იანგი
FDD	Frequency Division Duplexing
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEL	ქართული ლარი
ComCom	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
IVS	შეფასების საერთაშორისო სტანდარტები
LLC	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MHz	მეგაჰერცი
No.	ნომერი
TDD	Time Division Duplexing
USD	აშშ დოლარი